I თებერვალი

რიგითი ყამის IV კვირადღე

2009

კვირა

რვკლ. 18, 15-20; ფს. 94; I კორ. 7, 32-35; მარკ. I, 21-28 IV მ

გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით. (მარკ.I,22)

აი, კაპერნაუმის სინაგოგა,
იესო განმარტავს წმიდა წერილს.
ესოდენი ხელმწიფებაა მის სწავლებაში,
რომ ერთ-ერთ დამსწრეში ჩაბუდებული
ავი სული თავს ავლენს.
ღმრთის ნაქადაგევი სიტყვა აღწევს სიღრმეში
და ჩვენ გვაქცევს პირადად მოპასუხეებად.

მეც შემმთხვევია, რომ სახარების მოსმენისას
თითქოს უფალი სწორედ მე მელაპარაკება.

2 თებერვალი

უფლის ტაძარში წარდგენა
(მირქმა) (დ)

2009 ორშაბათი

მალაქ. 3, 1-4; ფს. 23; (ებრ. 2, 14-18); ლუკ. 2, 22-40 ს თ
ბერ-მონაზონთა დღე (საკრებულოებში)

ვინაიდან იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა. (ლუკ.2,30)

სიმეონმა გულში ჩაიკრა იესო
და სიხარულით აღმოჰხდა: «აწ განუტევებ,
მეუფეო, შენს მონას მშვიდობით,
ვინაიდან იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა!»
გმადლობთ, მამაო წმიდაო და სახიერო,
რამეთუ შენს მაძიებელთ
და ერთგულ მსახურთ, შენ უცხადებ იესოში
შენს უკვდავ მშვენიერებასა
და ყველა ხალხისათვის გამზადებულ ხსნას!

3 თებერვალი

2009 საშაბათი

ებრ. 12, 1-4; ფს. 21; მარკ. 5, 21-43 IV მ

ნუ გეშინია, გწამდეს მხოლოდ.

(მარკ. 5, 36)

იესო ზოგჯერ არ შეისმენს ხოლმე
ჩვენს ვედრებას მაშინვე.
იგი აყოვნებს სხვათა შორის იმისთვისაც,
რომ მოგვცეს შემთხვევა,
გამოვხატოთ უფრო ურყევი,
მომწიფებული, გადამწყვეტი რწმენა,
რწმენა, რომელსაც ექნება უნარი იმოქმედოს
ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში.

4 თებერვალი

2009 ოთხშაბათი

ებრ. 12, 4-7.11-15; ფს. 102; მარკ. 6, 1-6 IV მ

ვინც უყვარს,
იმას წვრთნის უფალი. (ებრ. 12, 6)

ძმურ ცხოვრებაში გარდაუვალია შენიშვნებისა
და შესწორებების მიღება, მაშინაც კი, როცა
ვცდილობთ ვემსახუროთ უფალს და გვიყვარ-
დეს ძმები წრფელი გულით. მრავალი წელია,
რაც მთხოვენ ვიყო მეტად თავმდაბალი და
კეთილმოსურნე ძმათა მიმართ.
გმადლობ, იესო,
რომ ძმების მიერ შენ მასწორებ.
გმადლობ, რომ მათი საშუალებით
გსურს მივაღწიო სიწმიდეს.

5 თებერვალი

წმ. აგათა (მ)

2009 ხუთშაბათი

ებრ.12,18-19.21-24;ფს.47;მარკ.6,7-13 IV წ

სდევნიდნენ მრავალ ეშმაკს და სცხებდნენ ზეთს და ბევრ სნეულს კურნავდნენ. (მარკ.6,13)

იესოს მიერ აღზრდილი და მივლენილი მოწა-
ფეები, მის დასადარ სასწაულებს ახდენდნენ.
ეს კვლავაც ხდება ეკლესიაში: ამას მოწმობს
წმიდანთა და იმათი ცხოვრება, ვისაც მორჩი-
ლებით უყვართ უფალი.
გმადლობ, იესო, შენი წმიდა ეკლესიისათვის,
რომელშიც კვლავ ვხვდები შენს განმკურნე-
ბელ მოქმედებას.

6 თებერვალი

2009 პარასკევი

ებრ. 13, 1-8; ფს. 26; მარკ. 6, 14-29 IV მ

იესო ქრისტე იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდე. (ებრ. 13, 8)

ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს ავტორი თავისი წერილის ბოლოში მოუხმობს ძმებს ურთიერთ სიყვარულისაკენ, საპყრობილეებში მსხდომთა ან სნეულთა მიმართ სიახლოვისაკენ, ცოლქმრობის მოფრთხილებისაკენ და სიმდიდრისაგან განზე მდგარი ცხოვრებისაკენ. მოუწოდებს, აგრეთვე, ყური დაუგდონ საკრებულოზე პასუხისმგებელთ და მიბაძონ მათ რწმენას.

მთელი გულით მადლობა მივუძღვნათ პაპსა და ეპისკოპოსებს, იმისათვის, რომ ამ წლების მან-ძილზე განგვამტკიცეს იესო ქრისტეს სწორ შეცნობაში და დაგვიცვეს განსხვავებული და წარმავალი მოძღვრებებისაგან.

7 თებერვალი

2009 შაბათი

ებრ. 13, 15.17.20-21; ფს. 22; მარკ. 6, 30-34 IV მ

წავიდნენ უდაბურ ადგილას მარ-ტონი ნავით. (მარკ. 6, 32)

იესომ ყურადღებით მოუსმინა მისიონიდან
დაბრუნებულ მოციქულებს და დაინახა,
თუ რაოდენ გარვიდლიყვნენ მისთვის და, რომ
დაღლილებს ესაჭიროებოდათ
ძალების აღდგენა მასთან ერთად ყოფნით,
სხვა სადარდელის გარეშე.

გმადლობთ იესო, შენიანებზე ზრუნვისათვის!
გმადლობთ იმ ხვალინდელი დღისათვის,
შენი დღისათვის, რომელშიც შეგვიძლია
დავისვენოთ და შენთან ვიყოთ.

8 თებერვალი

რიგითი ყამის V კვირადღე

2009

კვირა

იობ. 7, 1-4.6-7; ფს. 146; I კორ. 9, 16-19.22-23; მარკ. 1, 29-39 1მ

მივიდა, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა იგი. (მარკ. 1, 31)

აი, სიმონისა და ანდრიას სახლი კაპერნაუმში.
იესოს ელაპარაკებიან იმონის სიდედრის
სნეულებაზე, ისიც მიდის მასთან,
ჰკურნავს მას და ფაქიზად წამოაყენებს.

გმადლობთ იესო, ჯანმრთელობის ნიჭისათვის,
ყველა მათთვის, ვინც მოგვიყვანა შენთან
და დაგვეხმარა შენდამი საძსახურში
ჩავმდგარიყავით ეკლესიაში.

9 თებერვალი

2009 ორშაბათი

დაბ. I, I-I9; ფს. I03; მარკ. 6, 53-56 I მ

და სული ღვთისა
იძვროდა წყლებზე. (დაბ. I, 2)

დასაბამში...,
სული ღმრთისა დაჰქროდა უფსკრულზე,
რათა წესრიგი შეეტანა ქმნილებებში!
მოდი, სულო წმიდაო, ჩემში;
გამომძერწე იესოს სიტყვისამებრ.
მაქციე შენი სიყვარულის ტაძრად
და წესრიგი შემოიტანე ჩემს ურთიერთობებში,
რათა შევძლო მივუტევო, გავუგო ძმებს
და ვაუწყო მათ შენი გულმოწყალება.

10 თებერვალი

2009 სამშაბათი

დაბ. 1, 20-2, 4; ფს. 8; მარკ. 7, 1-13 I მ

პატივი ეცი მამასა შენსა
და დედასა შენსა. (მარკ. 7, 10)

გმადლობთ, უფალო იესო,
რომ სიბრძნითა და სიყვარულით პასუხობ
ყველას ვინც შენ გეკითხება,
და შეუსწორებ მათ, ვინც ამას საჭიროებენ.

გმადლობთ, რომ მიგვითითებ იმას,
რაცაა აუცილებელი ცხოვრებისათვის
და გვათავისუფლებ სიცრუისა
და ილუზიისაგან!

II თებერვალი

ლურდის ღვთისმშობელი (ნ.მ.)

2009 ოთხშაბათი

დაბ. 2, 4-9.15-17; ფს. 103; მარკ. 7, 14-23 I მ
სნეულთა დღე.

რაც ადამიანისაგან გამოდის, ის ბილწავს ადამიანს. (მარკ. 7, 15)

ცოდვებია ის «რამეები», რაც ხელს უშლის ადამიანს დარჩეს ღმერთთან ურთიერთობაში, ღმერთთან, რომელიცაა სიყვარული. ესენი (სიძვა, მრუშობა, სიხარბე, შური, სხვათა გმობა...) ვერ გონებაში, გრძნობებში შემოიპარება, შემდეგ კი იქცევა გადაწყვეტილებებად და ქმედებებად.

შევთხოვოთ უბიწო მარიამს, რომ შეგვეწიოს, რათა გავარჩიოთ ჩვენი ფიქრები და განგვკურნოს არასახერებისეული აზროვნებისაგან.

12 თებერვალი

2009 ხუთშაბათი

დაბ. 2, 18-25; ფს. 127; მარკ. 7, 24-30 I მ

იქნებიან ორნი ერთ ხორცად. (დაბ. 2, 24)

რა მშვენიერია ისეთი მეუღლეების ხილვა,
რომელთაც უყვართ ერთმანეთი,
ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს,
მაშინვე ესმით ერთმანეთის,
მოთმინებით იტანენ ერთმანეთს,
ეხმარებიან ერთურთს ლოცვაში,
ერთად ეძიებენ რჩევას!
მშვენიერია, ვინაიდან მათი ერთობა
ღმრთის ქმნილებაა.
კაცი და ქალი შექმნილნი არიან, რათა ერთად
გამოხატონ ღმრთის ნამოქმედარი!

I 3 თებერვალი

2009 პარასკევი

დაბ. 3, I-8; ფს. 31; მარკ. 7, 31-37 I მ

ყოველივეს სასიკეთოდ აკეთებს: ყრუებს ასმენინებს და მუნჯებს ალაპარაკებს. (მარკ. 7, 31-37)

იესო, ჩვენც გაგვიხსენი სულის სასმენელი,
როგორც შეასმინე ყრუმუნჯს.
ჩვენც, შენს სიტყვაში აღმოვაჩენთ შენმიერი
სიყვარულის საიდუმლოს და აღმოგვხდება:
«ყოველივე კარგად მოიმოქმედე!» შენი სი-
ტყვა სწორედ ამ ჭეშმარიტებას გვიჩვენებს:
ჩვენც აღარ შეგვეძლება დუმილი!

14 თებერვალი

წმ. კირილე და წმ. მეთოდი
ევროპის მფარველნი (დ)

2009 შაბათი

ეს. 52, 7-10; ფს. 95; მარკ. 16, 15-20 I თ

ანუგეშა უფალმა თავისი ერი.

(ეს. 52, 9)

თავისი მოწაფეების, წმიდანების, მიერ
იესო აწვდენს ყოველ ადამიანს მისი დახსნის,
თავისი და მამის სიყვარულის,
სასიხარულო ამბავს!
ამგვარად იქცეოდნენ წინასწარ-
მეტყველნიც რჩეული ერის მიმართ.

გმადლობთ, იესო,
რომ კვლავაც გვანუგეშებ
სახარების უწყებით,
რომელსაც ვისმენთ წმიდა წირვასა
თუ მრავალ სხვა შემთხვევაში.

15 თებერვალი

რიგითი ყამის VI კვირადღე

2009

კვირა

ლევ. 13, 1-2.44-46; ფს. 31; 1 კორ. 10, 31-11, 1; მარკ. 1, 40-45 II მ

ყველაფერი აკეთეთ ღვთის სადიდებლად. (1 კორ. 10, 31)

ამ სიტყვებმა ძალზე დამაფიქრა და დამეხმარა,
ჩემი ცხოვრება იესოსკენ მიმეძართა.
ამგვარად ჩემთვის, ახლა უკვე, წმიდა წირვაში
მონაწილეობა არასადღესასწაულო დღეებშიც
კი უბრალოდ კეთილი ჩვევა კი აღარაა, არამედ
ამით მე იესოს ვანიჭებ მნიშვნელობას;
ჩემი ყანაში მუშაობაც კი
იქცევა ჩემთვის არა თვითმიზნად,
არამედ უფლისადმი მსახურებად.

16 თებერვალი

2009 ორშაბათი

დაბ. 4, 1-15.25; ფს. 49; მარკ. 8, 11-13 II მ

ყოველი მკვლელი კაენისა შვიდგზის იქნება შურისგებული. (დაბ. 4, 15)

ეს სიტყვები გვაფრთხილებს,
რომ ბოროტს ძალადობით არ ვუპასუხოთ.
ბოროტების დამარცხების ერთადერთი გზა
სიყვარულია, სიკეთის ქმნაა,
გულით დალოცვაა, მათთვის ლოცვაა,
ვინც ცოდვის მსხვერპლად ქცეულან
და ბოროტებას გვიმზადებენ,
რათა ამგვარად გათავისუფლდნენ.

17 თებერვალი

2009 სამშაბათი

დაბ. 6, 5-8; 7, 1-5.10; ფს. 28; მარკ. 8, 14-21 II მ

ნავში კი მოწაფეებს ერთი პურის მეტი არა ჰქონდათ. (მარკ. 8, 14)

მოწაფეები, გენეზარეთის ტბაზე
მიცურავდნენ იესოსთან ერთად
და საგზლის უქონლობა აწუხებდათ,
ვინაიდან ერთ პურზე მეტი არ ჰქონდათ.
იესო საყვედურობს მათ:
იგი, უფალი, ხუთი პურით
ხუთი ათასი კაცი რომ დააპურა,
მათთან იყო!
მისი იმედით შეეძლოთ წყნარად მოესვენათ,
მისი განგებისა და მზრუნველობის რწმენით.

18 თებერვალი

2009 ოთხშაბათი

დაბ. 8, 6-13.20-22; ფს. 115; მარკ. 8, 22-26 II მ

დაადო ხელი და ჰკითხა: „ხედავ რამეს?“ (მარკ.8,23)

იესო იღებს ბრმას,
რომელიც მოჰყავთ მასთან
და სთხოვენ, რომ შეეხეოს მას.
იესო ყოველთვის აფასებს
ნებისმიერი ადამიანის რწმენას,
და მისი საშუალებით შველის ადამიანს,
რომელსაც დახსნა სჭირდება.

გმადლობთ, იესო!
შენ მოსულხარ ჩვენთვის ნათლის,
სიცოცხლისა და მშვიდობის მოსატანად!

19 თებერვალი

2009 ხუთშაბათი

დაბ. 9, 1-13; ფს. 101; მარკ. 8, 27-33 II მ

თქვენ რაღას იტყვით, ვინ ვარ მე?

(მარკ. 8, 29)

გმადლობთ, იესო,
რომ დღეს მეც მეკითხები ამას.
შენა ხარ ჩემთვის მაცხოვარი,
სასოება ამ საბრალო წუთისოფელში,
შენა ხარ წყარო მშვიდობისა
და ნამდვილი სიცოცხლისა,
შენა ხარ ძე მამისა,
რომელსაც ძალგიძს
გვაქციო მის შვილებად,
და რომელიც მიგვიძღვი მისკენ!

20 თებერვალი

2009 პარასკევი

დაბ. II, I-9; ფს. 32; მარკ. 8, 34-9, I II მ

თუ ვინმეს სურს მე მომყვეს, უარყოს თავი. (მარკ. 8, 34)

ერთ დღეს ვთხოვე ერთ ძმას, გადაედგა ყვავილე-
ბის ქოთანი, ცუდად რომ იდგა გასასვლელში, მან
კი მითხრა, რომ არაფერი უშავდა იქ სადაც იდგა.
სამზარეულოში მზარეულისგან მდუმარედ და
ყურადღებით მოვისმინე ერთი რეცეპტი, რომელიც
დიდი ხანია კარგად ვიცოდი.
უამრავჯერ ვუმეორე ერთ ძმას ერთი თხოვნა,
რასაც იგი ბევრითად ივიწყებდა...

საკუთარი თავის მცირე მოკვდინებები,
იესოს კვალზე სასიარულოდ რომ მამზადებენ!

21 თებერვალი

2009 შაბათი

ებრ. II, 1-7; ფს. 144; მარკ. 9, 2-13 II მ

ფერი იცვალა მათ წინაშე. (მარკ.9,2)

იესო თავის მოწაფეთაგან სამს
აგემებს განსაკუთრებულ ხილვას –
თითქმის სამოთხეს, შეიძლება ითქვას.
იგი გადაუშლის მათ
თავისი ღმრთაებრიობის ერთ ნაწილს.
დიდია გაოცება და სიხარული მოწაფეთა,
რაც დაეხმარება მათ განიცადონ
მომდევნო ვნების დღეები შეძრწუნებისა
და დაბრკოლების გარეშე.

22 თებერვალი

2009

რიგითი ყამის VII კვირადღე

წმ. პეტრეს კათედრა (დ)

კვირა

ეს. 43, 18-19.21-22.24-25; ფს. 40; 2 კორ. 1, 18-22; მარკ. 2, 1-12 ს თ

„ჰო“ იყო მასში. (2 კორ. 1, 19)

ეს «ჰო» მიმართა იესომ მამისადმი, როდესაც დათანხმდა მოსულიყო წუთისოფელში. ამ «ჰო»-თი განვლო ოცდაათი წელი ნაზარეთში. იგივე გაიმეორა გეთსემანიაში. მის ამ თანხმობაშია ის ძალა, რამაც წმიდა პავლე აქცია მისი სახარების ერთგულ და მტკიცე მაუწყებლად, რაც რომის პაპს აქცევს ჩვენი რწმენის განმამტკიცებლად და იესოს პიროვნების ნამდვილი შემეცნების გზაზე მეგზურად.

23 თებერვალი

წმ. პოლიკარპე (ნ.მ)

2009 ორშაბათი

სირ. I, I-I0; ფს. 92; მარკ. 9, I4-29 III წ

მამა სტეფანე დემურიშვილის მოხსენიება

თუკი რამე შეგიძლია, გვიშველე ჩვენ, შეგვიბრალე. (მარკ.9,22)

ავი სულით შეპყრობილი ბავშვის მამა
მიმართავს იესოს ამ სიტყვებით.
იესო პასუხობს: «ძორწმუნისათვის
ყოველივე შესაძლებელია».

გმადლობთ, იესო, შენი სიახლოვისათვის,
შენი თანაგრძნობისა და შენი სიტყვისათვის.

გმადლობთ, რომ ძალგიძს სრულჰყო
ჩვენი შენდამი რწმენა
და შეგვეწიო ყოველ გარემოებაში.

24 თებერვალი

2009 სამშაბათი

სიბ. 2, I-II(I-13); ფს. 36; მარკ. 9, 30-37 III მ

ვინც მე მიმიღებს,
ის მე კი არ მიღებს,
არამედ ჩემს მომავლინებელს.
(მარკ.9,37)

იესო მოვიდა ჩვენთან მამისაგან მოვლენილი,
მამასთან სიყვარულის სრული ერთობით;
ამიტომ, იესოს მიღება ნიშნავს
მამის მიღებასაც,
ნიშნავს მათ სიცოცხლეში შესვლას,
მათი სიყვარულის გამოხატვას.

გმადლობთ, იესო, ჩვენთან მოსვლისათვის.

25 თებერვალი

ნაცრისყრის ოთხშაბათი
(დიდმარხვის დასაწყისი)

2009 ოთხშაბათი

იოვ. 2, 12-18; ფს. 50; 2 კორ. 5, 20-6, 2; მათ. 6, 1-6.16-18 ს ი

(მძიმე მარხვა)

ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი.

(2 კორ. 6, 1)

იესო გვინათებს გონების თვალებს,
რათა შევიცნოთ თუ რაოდენ სწადია
მამას ჩვენი ამაღლება თავისთან.
მას სურს მოგვიძღვნას თავისი სიცოცხლე,
შენი სიტყვის მოსმენით, უფალო იესო!
დღეს ვიწყებთ დიდმარხვას.
თუკი ძალისხმევას არ დავიშურებთ
(ლოცვა, მარხვა,
ტანჯულთადმი გულისხმიერი ყურადღება),
მადლი ღმრთისა ნაყოფს გამოიღებს!

26 თებერვალი

ნაცრისყრის შემდგომი ხუთშაბათი

2009 ხუთშაბათი

რჯლ. 30, 15-20; ფს. I; ლუკ. 9, 22-25 IV ი

ამოირჩიე სიცოცხლე რათა გიყვარდეს უფალი. (რჯლ. 30, 19-20)

ღმერთი მამაა, სიყვარულია;
მან შექმნა თავისუფალი ადამიანი
და ზრუნავს მასზე,
ამიტომ მიმართავს მას
და სთავაზობს გააკეთოს არჩევანი:
ემსახუროს ან მას, ან ცრუ კერპებს.
იგი გვარწმუნებს, რომ მისი სიყვარულით,
მასთან ერთად ყოფნით,
ვპოვებთ იმ სიცოცხლესა
და ბედნიერებას, რასაც ვესწრაფვით.
გმადლობთ, მამაო სახიერო!

27 თებერვალი

ნაცრისყრის შემდგომი პარასკევი

2009 პარასკევი

ეს. 58, 1-9; ფს. 50; მათ. 9, 14-15 IV ი

იღაღადებ და ის იტყვის: აქა ვარ!

(ეს. 58, 9)

ესაია წინასწარმეტყველი გვიცხადებს იმ
გზას, რომელზეც შესმენილ იქნება
ჩვენი ვედრებანი უფლისადი:
საჭიროა ვიყოთ მისი გამგონენი
და გვიყვარდეს მოყვასი,
როგორც საკუთარი თავი.
იესო ადასტურებს ამას, სიტყვებით:
«თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები
თქვენში დარჩება, ითხოვეთ,
რაც გინდათ და მოგეცემათ» (იოან. 15, 7).

28 თებერვალი

ნაცრისყრის შემდგომი შაბათი

2009 შაბათი

ეს. 58, 9-14; ფს. 85; ლუკ. 5, 27-32 IV ი

მოვედი არა მართალთა მოსახმობად, არამედ ცოდვილთა. (ლუკ.5,32)

ეს მდაბალთათვის ნუგეშისცემისა
და ნათლის სიტყვაა.
იესო უახლოვდება და იღებს ცოდვილებს,
ჭამს მათთან ერთად;
სურს გაუწოდოს ხელი
ცხოვრების განახლებისათვის.
გმადლობთ, უფალო იესო,
შენი ძმური და მამობრივი
სიყვარულისათვის.